დიმიტრი უზნაძის იდეები მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხთან მიმართებით

გიორგი ამირანაშვილი
სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
ელ-ფოსტა: giorgi.amiranashvili@tsu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0003-1097-0126

აბსტრაქტი. ნაშრომი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგისა და პედაგოგის, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის გაანალიზებას მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ დიმიტრი უზნაძე, ძირითადად, ცნობილია როგორც „განწყობის თეორიის“ ფუძემდებელი, მისი, როგორც სკოლის რეფორმატორისა და პედაგოგიური მოაზროვნის როლი ნაკლებად არის შესწავლილი. კვლევის მიზანია უზნაძის ხედვების წარმოჩენა და მათი კავშირის დადგენა თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების საჭიროებებთან. ნაშრომში განხილულია მისი მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც, დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ამოცანა მოქალაქის აღზრდაა. დიმიტრი უზნაძე მოქალაქეობრივი აღზრდის ორ ძირითად კომპონენტს გამოყოფს: 1) ცოდნის მიწოდება (სამართლებრივი და სოციალური საკითხების შესახებ) და 2) ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მის მიერ შემოთავაზებულ სიახლეზე – მოსწავლეთა თვითმმართველობის დანერგვაზე. მისი ხედვით, სკოლა უნდა იყოს „პატარა სახელმწიფო“, სადაც მოსწავლეები პრაქტიკული საქმიანობით ეუფლებიან დემოკრატიული თანაცხოვრების პრინციპებს. დასკვნის სახით, ნაშრომი ცხადყოფს, რომ უზნაძის იდეები მოქალაქეობრივი აღზრდის შესახებ (აქტიური, შემოქმედი, საზოგადოებრივი ინტერესების გამზიარებელი მოქალაქის ჩამოყალიბება) მნიშვნელოვან აქტუალობას ინარჩუნებს თანამედროვე ქართული სკოლის წინაშე მდგარი გამოწვევების ფონზე.

საკვანძო სიტყვები: დიმიტრი უზნაძე; მოქალაქეობრივი აღზრდა; სკოლის რეფორმა; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დემოკრატიული სკოლა; პედაგოგიკა; ზნეობრივი აღზრდა; მართლშეგნება.

***

შესავალი. ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების საკითხი, მისი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი, მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხები განვითარების ყველა ეტაპზე იპყრობს საზოგადოების ყურადღებას და ინარჩუნებს აქტუალობას. ის ოჯახის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საზოგადოების ერთობლივ საზრუნავს წარმოადგენს. სოციუმის სრულფასოვანი წევრი მოქალაქეობრივი თვითშეგნების გარეშე ვერ ჩამოყალიბდება. ხელშეწყობა კი, ადრეული ასაკიდანვე უნდა დაიგეგმოს. სამოქალაქო აღზრდა მჭიდრო კავშირშია ქვეყნის, ოჯახის ტრადიციების, ჰუმანიზმის, მოყვასისადმი ზრუნვის, პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი ერთგულების ჩამოყალიბებასთან, რაც ზნეობრივი აღზრდის ღირებულებებს წარმოადგენს (მალანია, ახვლედიანი, 2014: 181).

პიროვნების სოციალური კულტურის ფორმირება დაეხმარება ადამიანს, თავი ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს და განუვითაროს საზოგადოების ყველა წევრისადმი: უფროსებისადმი, თანატოლებისა თუ მომავალი თაობისადმი პასუხისმგებლობის განცდა. სკოლა, როგორც სასწავლო და სააღმზრდელო სისტემა, სამოქალაქო აღზრდის კუთხით იყენებს სასწავლო დისციპლინებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, სასწავლო, არასასწავლო და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობებს და სხვ. (მალანია, ახვლედიანი, 2014: 182).

მოქალაქეობრივი აღზრდის თვალსაზრისით, ყველაზე ოპტიმალურია უფროსი სასკოლო ასაკი. უფროსი სასკოლო ასაკი არის მოქალაქეობრივი ჩამოყალიბებისა და ცხოვრებისეული გზის არჩევის პერიოდი, როდესაც მკვეთრად ფართოვდება ურთიერთობების სფერო. ამ პერიოდში აღმოცენდება მოსწავლეთა მიერ ზნეობრივი პრინციპების ღრმად დაუფლების არა მარტო შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობაც. ეს განპირობებულია იმით, რომ მხოლოდ ინდივიდუალური განვითარების ამ საფეხურზე ახერხებს ადამიანის საზოგადოებასთან მრავალმხრივ კავშირებში შესვლას. სწორედ აქედან იწყება მოსწავლის ცხოვრებაში თვისებრივად ახალი სვლა დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ, სერიოზული მზადება საზოგადოებაში შრომითი საქმიანობისათვის. ეს არის ზნეობრივი ძალების აღმავლობის პერიოდი. სწორედ ამ პერიოდში იქმნება სოციალური ოპტიმიზმის გრძნობის აღმოცენების საუკეთესო პირობები. სოციალური ოპტიმიზმი მოქალაქეობრივი შეგნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია (ორჯონიკიძე, ახვლედიანი, 2014: 287-288).

მოქალაქეობრივ აღზრდაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლებრივი შეგნების ჩამოყალიბებას. მისი ჩამოყალიბება პირდაპირ არის დაკავშირებული სამართლებრივი ცოდნის გადაცემასთან (ორჯონიკიძე, ახვლედიანი, 2014: 289). მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პოზიციის ყველაზე მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშნებია: ძირითადი კანონების ცოდნა და მათი გათვალისწინება საკუთარ მოქმედებებში; მოქალაქეობრივი უფლებებისა და მოვალეობების ცოდნა; სოციალური აქტივობის გამოვლენა საერთო საქმის სასარგებლოდ; ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილება, ჰუმანური ურთიერთობებისადმი მისწრაფება (ორჯონიკიძე, 2002: 136-137).

სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის, კერძოდ, მოქალაქეობრივი აღზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა მოსწავლის პიროვნების ზნეობრივი მიმართულების ჩამოყალიბებაა. ზნეობრივი მიმართულება კი, – როგორც პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ცნობილია, – მყარი საზოგადოებრივი პოზიციის გამოვლინებაა, რაც, საერთოდ, მსოფლმხედველობრივ საფუძველზე ყალიბდება (ორჯონიკიძე, ახვლედიანი, 2014: 293). სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია მდგომარეობს მოსწავლის მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირებაში, მორალური, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაში (ლოსაბერიძე, 2018: 34-35).

უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ფსიქოლოგიური სკოლის დამაარსებლის, უდიდესი მეცნიერისა და ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის ხსენებაზე ყველას, უპირველეს ყოვლისა, „განწყობის თეორია“ და ფსიქოლოგიის მიმართულებით მისი უდიდესი ღვაწლი ახსენდება. მისი ნაშრომები, მსოფლიო მნიშვნელობის კვლევები დღემდე არ კარგავს აქტუალობას. მისმა მოღვაწეობამ სამეცნიერო, საზოგადოებრივი თუ საგანმანათლებლო მიმართულებით, მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქვეყნის განვითარების გზა (მახოხაშვილი, 2021: 3).

თუმცა, დიმიტრი უზნაძის მრავალმხრივ საქმიანობაში არის ისეთი მხარე, რომელიც, სრულიად დაუმსახურებლად, თითქოს, ჩრდილში მოექცა და თანამედროვე ქართული საზოგადოების თვალში უზნაძის ბიოგრაფიული პორტრეტის მკაფიო ნაწილად ვერ იქცა. დიმიტრი უზნაძე სკოლაში – დიმიტრი უზნაძე, როგორც მასწავლებელი – დიმიტრი უზნაძე, როგორც სკოლის ხელმძღვანელი – დიმიტრი უზნაძე, როგორც სკოლის რეფორმატორი – მისი პორტრეტის ეს მხარე დიმიტრი უზნაძემ, როგორც მეცნიერმა გადაფარა და დღეს ცოტამ თუ იცის, რომ ის სკოლა, რომლის შექმნასაც

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემები ცდილობენ, 100 წლის წინ, დიმიტრი უზნაძის დამსახურებით, უკვე არსებობდა (მახოხაშვილი, 2021: 3).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მსოფლმხედველობა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის კონტექსტში. ნაშრომში არის იმის წარმოჩენის მცდელობა, თუ როგორ უკავშირდება უზნაძის ხედვა თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების საჭიროებებს და როგორ შეიძლება მისი იდეების პრაქტიკული გამოყენება დღევანდელ სკოლაში.

მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე თეორიული კვლევის მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის სისტემური ანალიზისთვის მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის კონტექსტში.

დოკუმენტების ანალიზი – კვლევის ფარგლებში, შესწავლილ იქნა დიმიტრი უზნაძის ორიგინალური ნაშრომები, კერძოდ, „პედაგოგიური წერილები“ (1915), „სკოლის რეფორმის შესახებ კავკასიაში“ (1917), აგრეთვე, მისი პედაგოგიური მოღვაწეობის ამსახველი სხვა მასალები. გაანალიზდა როგორც პირველადი წყაროები, ისე მეორეული სამეცნიერო ლიტერატურა.

ისტორიული ანალიზი – გამოყენებულ იქნა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური შეხედულებების განვითარების ისტორიულ კონტექსტში განხილვის მეთოდი, რამაც შესაძლებელი გახადა მისი იდეების ჩასახვის, ჩამოყალიბებისა და ევოლუციის დადგენა XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში.

კონტენტ-ანალიზი – გამოყენებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურისა და პირველადი წყაროების შინაარსობრივი ანალიზი მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხზე უზნაძის ძირითადი იდეების, კატეგორიებისა და კონცეფციების გამოსავლენად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკვანძო ცნებებს, როგორიცაა: „მოქალაქეობრივი აღზრდა“, „ხასიათის სამოქალაქო წრთობა“, „ნებისყოფა“, „თვითმმართველობა“, „სკოლა, როგორც პატარა სახელმწიფო“.

სინთეზის მეთოდი – გამოყენებულ იქნა უზნაძის პედაგოგიური იდეების განზოგადებისა და სისტემაში მოყვანის მიზნით, რამაც შესაძლებელი გახადა მისი მოქალაქეობრივი აღზრდის კონცეფციის, როგორც ერთიანი თეორიული სისტემის წარმოჩენა.

შედარებითი ანალიზი – განხორციელდა უზნაძის პედაგოგიური შეხედულებების შედარება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებთან მოქალაქეობრივი აღზრდის მიმართულებით, რამაც ცხადყო მისი იდეების აქტუალურობა და მათი გამოყენების შესაძლებლობა დღევანდელ სასკოლო პრაქტიკაში.

ბიბლიოგრაფიული კვლევა – შესწავლილ იქნა დიმიტრი უზნაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის, თანამედროვე ქართველი მკვლევრების (ნ. ბოკუჩავა, ნ. კაკულია, ე. ლოსაბერიძე, ი. მალანია, მ. ახვლედიანი, ლ. მახოხაშვილი, ნ. ორჯონიკიძე, ს. ფანჩულიძე) ნაშრომები, რაც საშუალებას იძლეოდა უზნაძის იდეების მრავალმხრივი გააზრებისა და ინტერპრეტაციისათვის.

აღნიშნული მეთოდების კომპლექსურმა გამოყენებამ შესაძლებელი გახადა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მემკვიდრეობის მოქალაქეობრივი აღზრდის ასპექტში ანალიზი და მისი იდეების თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციის პერსპექტივების გამოკვეთა.

მსჯელობა. 1915 წელს, დიმიტრი უზნაძემ გამოაქვეყნა „პედაგოგიური წერილების“ სერია, რომელშიც უკვე ჩანდა მისი მომავალი ფსიქოლოგიური თეორიის საწყისები. ამ შრომების მიხედვით, სწავლებისა და აღზრდის პროცესი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის შინაგანი, პიროვნული აქტივობის განვითარებას, რაც მის მოქალაქეობრივ სახეს განსაზღვრავს (ფანჩულიძე, 2013: 18).

1917 წლის 27 მარტს, ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის ეზოში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა ყრილობა. ყრილობის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო დიმიტრი უზნაძემ. ყრილობაზე მან წაიკითხა მოხსენება ეროვნული სკოლის მნიშვნელობის შესახებ (ფანჩულიძე, 2013: 43).

ყრილობაზე უზნაძის პედაგოგიკურ შეხედულებებს მთელი კავკასიის მასწავლებელთა საუკეთესო ნაწილი გაეცნო. ამას დაემატა ისიც, რომ რუსულ ენაზე დაიბეჭდა უზნაძის მიმოხილვა – „კავკასიის სკოლის რეფორმის შესახებ“. მასში განხილულია განათლების სტრუქტურის, აღზრდის მიზნისა და პედაგოგიკის პრინციპული საკითხები. შრომაში ნათლად ჩანს, თუ რა საკითხები აწუხებდა მაშინდელ ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას. კერძოდ, „ახალი თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის“ საკითხი, ნებისყოფის მიმართება და ხასიათის მოქალაქეობრივი გამოკვეთილობა, სკოლის დემოკრატიულ პრინციპებზე მოწყობა, სკოლაში თვითმმართველობის შემოღება, ძველი ინტელექტუალური სკოლის შეცდომების გამოსწორება, რადგან მარტო ცოდნა ვერ ქმნის სიცოცხლის მშენებელს (ფანჩულიძე, 2013: 44).

დიმიტრი უზნაძის ნაშრომი – „სკოლის რეფორმის შესახებ კავკასიაში“, რომელიც მან კავკასიის მასწავლებელთა ყრილობაზე მოხსენებად წაიკითხა 1917 წლის მაისში, პირველად, ქართულ ენაზე გამოქვეყნდა 1990 წელს, ჟურნალში „სკოლა და ცხოვრება“. ადვილად დასანახია, რომ დიდი მეცნიერის მოსაზრებები, სასკოლო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებით, უაღრესად თანამედროვე და დღეისთვისაც აქტუალურია (უზნაძე, 2021: 7) და თანამედროვე სკოლას დღესაც უბიძგებს ინიციატივიანი, შემოქმედი ქართველის აღზრდისკენ (კაკულია, 2016: 7).

ზემოაღნიშნულ ნაშრომში დიმიტრი უზნაძე წერს: „...დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე. ამიტომ, ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხი სახალხო განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია. პედაგოგიურ პრაქტიკასა და ლიტერატურაში ამჟამად ამ საკითხზე ენერგიული სჯა-ბაასია გაჩაღებული. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში. მაგრამ რა საშუალებები აქვს სახალხო სკოლას ამ მნიშვნელოვანი მიზნის განსახორციელებლად? პირველ ყოვლისა, აუცილებელია მივცეთ ბავშვებს ცოდნის გარკვეული რაოდენობა მოცემულ საკითხზე; სახალხო სკოლის პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ეს მოსაზრება. მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითია არა შეხედულებათა წრის შეთვისება, არამედ ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. ეს მიზანი კი შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრების პრაქტიკაში. სკოლა ხომ პატარა სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოს მოქალაქენი მისი აღსაზრდელები არიან. დაე, სკოლა დემოკრატიულად იყოს მოწყობილი, დაე მისი მართვა, არსებითად, მოსწავლეთა ხელში გადავიდეს. მართვის ცოცხალი პრაქტიკა გამოაწრთობს მოზარდი თაობის მოქალაქეობრივ ხასიათს, იგი განავითარებს ბავშვებში მთლიანის ინტერესების მნიშვნელობასა და საერთო საქმისათვის პიროვნების შეზღუდვის აუცილებლობის შეგნებას. იგი განამტკიცებს ბავშვებში იმის რწმენას, რომ შემთხვევითი და დროებითი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ განამტკიცოს და განავითაროს მუდმივი და წარუვალი, რომ პრიმატია არა პირადული, რომელიც, არსებითად, შემთხვევითია, არამედ საზოგადოებრივი, რომელიც წარუვალია, მუდმივია და აუცილებელი. ეს რომ გაკეთდება, ხასიათის სამოქალაქო აღზრდა, უეჭველად, უზრუნველყოფილი იქნება. ამრიგად, მთელ რიგ საქმეებში (ექსკურსია, კლასი, დისციპლინა და ა. შ.) თვითმმართველობის შემოღება არის მოქალაქეობრივი გრძნობების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალება. დღეს თუ თანამედროვე სკოლა, მისი ხელმძღვანელები დროისა და ძალების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების დამუშავებაზე, მომავლის სკოლა, რომლის მიზანი მოქალაქეობრივად განწყობილი ხასიათის აღზრდა იქნება, აუცილებლად ბევრს იფიქრებს სასკოლო ცხოვრებაში მჩქეფარე პრაქტიკულ საქმიანობაზე, რომელიც დღენიადაგ აღძრავს ბავშვებში თვითმოქმედებას, ინიციატივას, შეუპოვრობას. ყოველივე ეს შეფერილი იქნება საერთო საქმისადმი სამსახურის სურვილით, მუდმივისა და წარუვალის შექმნის მზაობის შეგნებით...“ (უზნაძე, 2021: 15-16).

დიმიტრი უზნაძეს ყურადღების მიღმა არ რჩება ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხი. ადამიანი, თავისი არსით, სოციალური არსებაა და საზოგადოების წევრია. შესაბამისად, მისი აქტივობა, რომელ მხარესაც არ უნდა იყოს ის მიმართული, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა და გარკვეულ კანონებს ექვემდებარება. მიზანმიმართული და გააზრებული ქცევის განსახორციელებლად, ადამიანი აუცილებლად უნდა ერკვეოდეს პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში (ბოკუჩავა, 2017: 150).

განათლების სისტემა მოვალეა, იზრუნოს არა მარტო პიროვნებათა, არამედ მოქალაქეთა ჩამოყალიბებაზეც, რომლებსაც უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფო ცხოვრების განვითარების პროცესში. დიმიტრი უზნაძე აზუსტებს იმ საშუალებებს, რომლებიც განახორციელებინებს სკოლას ამ უმნიშვნელოვანეს მიზანს: 1. ცოდნა. აუცილებელია, ბავშვებს მიეცეთ გარკვეული ინფორმაცია მოცემულ საკითხზე. 2. ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სასკოლო ცხოვრებაში თვითმმართველობის შემოღებით გარკვეულ აქტივობებში (ექსკურსია, დისციპლინა, საკლასო საქმიანობები...) (ბოკუჩავა, 2017: 151).

დიმიტრი უზნაძე აღზრდის მიზნის შინაარსის განსაზღვრის დროს პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდის მომზადებას ცხოვრებისათვის. დიმიტრი უზნაძე გმობს პასიურობას და ავითარებს მოსაზრებას აქტიური პიროვნების აღზრდის შესახებ (ფანჩულიძე, 2025: 37).

დიმიტრი უზნაძე პედაგოგიური პროცესის ძირითად დანიშნულებას მტკიცე ნებისყოფისა და აქტიური ხასიათის აღზრდაში ხედავს. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, აღზრდის მიზნების განსაზღვრისას, უზნაძე იმ თეზისს იზიარებდა, რომელიც პრიორიტეტული გახდა თანამედროვე პედაგოგიკასა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ყველა პროგრესულ კონცეფციაში. დიმიტრი უზნაძის პრაქტიკულმა ძიებამ განსაზღვრა სასკოლო საქმის და აღზრდის დემოკრატიული ხასიათის განვითარება, რომელიც დღესაც ფართოდ ინერგება და ვრცელდება საქართველოში (ფანჩულიძე, 2025: 40).

სწორედ დღევანდელი, 21-ე საუკუნის, სკოლის მიზანს აღწერდა თითქმის 100 წლის წინ დიმიტრი უზნაძე. დემოკრატიის, განათლებისა და სკოლის, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის ურთიერთკავშირის შესახებ სამეცნიერო დისკუსია საუკუნეზე მეტი ხნისაა. როგორც თეორიის, ისე პრაქტიკული გამოცდილების დონეზე, დემოკრატიული სკოლის უპირატესობა ცხადია. აღნიშნულ უპირატესობას დღეს უფრო თვალსაჩინოს ხდის დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების იდეის ფართოდ გავრცელება მსოფლიოში (ფანჩულიძე, 2014: 254).

დიმიტრი უზნაძის აზრით, სამოქალაქო საზოგადოების წევრების გამოწრთობა მხოლოდ დემოკრატიული და თვითმმართველი სკოლის ცხოვრებაში, ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში ხდება. ამრიგად, დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ კონცეფციას აღზრდის სოციალური ასპექტი შეადგენს (ფანჩულიძე, 2014: 257).

პრაქტიკულადაც, „სინათლის“ სკოლის სისტემაში, დიმიტრი უზნაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბავშვის ნებისყოფის გაშლისა და აქტივობის თავისუფალი აღზრდისათვის შესაფერისი პირობა შექმნა. ამასთანავე, სკოლის რეორგანიზაციის პროგრამასაც იგი ამ აქტიური, შემოქმედი, ნებისყოფით აღჭურვილი ადამიანისა და მოქალაქის იდეის მიხედვით აყალიბებდა (ფანჩულიძე, 2014: 258).

დასკვნები. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური მემკვიდრეობა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი აღზრდის კონტექსტში. კვლევამ აჩვენა, რომ უზნაძის, როგორც გამოჩენილი ფსიქოლოგის, მეცნიერული მოღვაწეობის პარალელურად, მისი პედაგოგიური შეხედულებები და პრაქტიკული საქმიანობა სასკოლო განათლების რეფორმირების მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ნაშრომში წარმოჩენილია, რომ დიმიტრი უზნაძე ერთ-ერთი პირველი ქართველი მოაზროვნე იყო, რომელმაც მეცნიერულად დაასაბუთა მოქალაქეობრივი აღზრდის მნიშვნელობა და შესაბამისი პედაგოგიური მექანიზმები შემოგვთავაზა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, მის ნაშრომებში ნათლად გამოიკვეთა იდეა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი ამოცანა არა მხოლოდ პიროვნების, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქის აღზრდაა.

უზნაძის კონცეფციის თანახმად, მოქალაქეობრივი აღზრდის ორი ძირითადი კომპონენტი არსებობს: 1) ცოდნის გადაცემა – მოსწავლეთა ინფორმირება საზოგადოებრივი ცხოვრების, კანონების, უფლება-მოვალეობების შესახებ; 2) ხასიათისა და ნებისყოფის სამოქალაქო წრთობა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მეორე კომპონენტზე, რადგან, უზნაძის აზრით, მხოლოდ ინტელექტუალური ცოდნა ვერ ქმნის სრულფასოვან მოქალაქეს.

აღსანიშნავია უზნაძის მიერ შემოთავაზებული სიახლე – მოსწავლეთა თვითმმართველობის დანერგვა სკოლაში. მისი ხედვით, სკოლა უნდა იყოს „პატარა სახელმწიფო“, სადაც მოსწავლეები პრაქტიკული საქმიანობის გზით ეუფლებიან დემოკრატიული თანაცხოვრების პრინციპებს, საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობასა და საზოგადოებრივი ინტერესების პრიორიტეტის გააზრებას.

ნაშრომი ცხადყოფს, რომ დიმიტრი უზნაძის პედაგოგიური იდეები, განსაკუთრებით მოქალაქეობრივი აღზრდის კუთხით, განსაკუთრებულ აქტუალობას ინარჩუნებს თანამედროვე ქართული სკოლის წინაშე მდგარი გამოწვევების ფონზე. მის მიერ შემუშავებული პრინციპები – აქტიური, შემოქმედი, ნებისყოფით აღჭურვილი, საზოგადოებრივი ინტერესების გამზიარებელი მოქალაქის აღზრდა – სრულად შეესაბამება თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების მოთხოვნებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დიმიტრი უზნაძე არა მხოლოდ გამოჩენილი ფსიქოლოგი, არამედ წინდახედული პედაგოგი და სკოლის რეფორმატორი იყო, რომლის იდეებმა შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს თანამედროვე ქართული განათლების სისტემის განვითარებასა და მოსწავლეთა მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ბოკუჩავა, ნ. (2017). დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია. თბილისი: ივერიონი.

კაკულია, ნ. (2016). დიმიტრი უზნაძე – სულმა იგივეობა და უცვლელობა არ იცის. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ლოსაბერიძე, ე. (2018). გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მალანია, ი., ახვლედიანი მ. (2014). სამოქალაქო აღზრდისათვის. *მასწავლებელთა II კონფერენციის „უნივერსიტეტი სკოლას – სკოლა უნივერსიტეტს (სწავლებისა და განათლების პრობლემები)“ მასალები (6-7 ივნისი, 2014)*. გვ. 181-184. ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია.

მახოხაშვილი, ლ. (2021). დიმიტრი უზნაძე – მე-20 საუკუნის სკოლის რეფორმატორი. *ჟურნალი „სკოლის მართვა“ (№1: გვ. 3-6)*. თბილისი. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

ორჯონიკიძე, ნ. (2002). მოსწავლეებში ზნეობრივ-სოციალური ორიენტაციების ჩამოყალიბება, როგორც მოქალაქეობრივი აღზრდის პედაგოგიური პირობა. თბილისი: იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერების ეროვნული ინსტიტუტი.

ორჯონიკიძე, ნ. ახვლედიანი, მ. (2014). მოსწავლეებში ზნეობრივ-სოციალური ორიენტაციების ჩამოყალიბება, როგორც მოქალაქეობრივი აღზრდის პედაგოგიური პირობა. *მასწავლებელთა II კონფერენციის „უნივერსიტეტი სკოლას – სკოლა უნივერსიტეტს (სწავლებისა და განათლების პრობლემები)“ მასალები (6-7 ივნისი, 2014)*. გვ. 287-293. ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია.

უზნაძე, დ. (2021). სკოლის რეფორმის შესახებ კავკასიაში. *ჟურნალი „სკოლის მართვა“ (№1: გვ. 7-20)*. თბილისი. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

ფანჩულიძე, ს. (2013). დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური შეხედულებები. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფანჩულიძე, ს. (2014). სამოქალაქო აღზრდა, მოსწავლეთა თვითმმართველობა, შეგნებული დისციპლინისა და ნებისყოფის აღზრდა დიმიტრი უზნაძის პედაგოგიურ ნააზრევში. *მასწავლებელთა II კონფერენციის „უნივერსიტეტი სკოლას – სკოლა უნივერსიტეტს (სწავლებისა და განათლების პრობლემები)“ მასალები (6-7 ივნისი, 2014)*. გვ. 253-258. ქესჟ: განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია.

ფანჩულიძე, ს. (2025). აღზრდის მიზნებისა და ამოცანების პრიორიტეტი დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკურ ნააზრევში. *X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები (ნაწილი II) (30 მაისი-1 ივნისი, 2025)*. გვ. 36-41. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.